პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 69 (10766)

პარასკევი, 22 მარტი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

გუშინ მუშაობას განაგრძობდა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

დილისა და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

მესამე დღეა თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მუშაობას განაგრძობს საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. დეპუტატები განიხილავენ საკითხებს, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის, მშრომელთა საარსებო დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სესიის პირველ სხდომაზე, 20 მარტს, მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. გარდა ამისა, მოსმენილ იქნა საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება და დაიწყო კამათი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლებიც წარდგენილია სესიის განსახილველად, ნათლად მოწმობენ, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დაჩქარებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდა მოკავშირე რესპუბლიკების როლი სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შარშან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის უშუალო გამგებლობაში გადმოვიდა 42 სამრეწველო საწარმო, რომლებიც წინათ საერთო-საკავშირო სამინისტროების გამგებლობაში იმყოფებოდა. ეს დიდ მოვალეობასაც აკისრებს რესპუბლიკურ ორგანოებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება. საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა წინა წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 5,9 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების ზრდის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა არსებული რეზერვებისა და საწარმოების მოქმედ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

უდიდესი საბრძოლო ამოცანებია დასახული სათბობი და ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკების წინაშე. საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა მიმდინარე წელს 1956 წელთან შედარებით 3,4 პროცენტით უნდა გაადიდოს ქვანახშირის მოპოვება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკა ადგილობრივი ქვანახშირით მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სწრაფად მზარდი მრეწველობის მოთხოვნილებას და იძულებულია დიდი რაოდენობით შემოიზიდოს იგი მოძმე რესპუბლიკიდან. ამიტომ ქვანახშირის ახალი საბადოების ათვისების დაჩქარება სადღეისო გადაუდებელი ამოცანაა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა ელექტროენერგეტიკა. ამ დარგის მუშაკთა ღირსების საქმეა დააჩქარონ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ხალხის სამსახურში ჩააყენონ ელექტროენერგიის ახალი წყაროები და ობიექტები.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა დაუღალავ შემოქმედებით შრომას მოითხოვს რუსთავის მეტალურგებისაგან, თბილისელი, ქუთაისელი და ბათუმელი მანქანათმშენებლებისაგან, ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკებისაგან, მსუბუქი და საფეიქრო, სასურსათო და კვების მრეწველობის მუშაკებისაგან. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უხვად გვქონდეს მაღალი ხარისხის ყველა სახის ფართო მოხმარების საქონელი.

მრეწველობის ყველა დარგის მუშაკთა საპატიო საქმეა ბრძოლა ეკონომიისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. 1957 წლის გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო საწარმოთა შრომის ნაყოფიერების ზრდა 6,2 პროცენტით.

— სახელმწიფოს ჩავაბაროთ 120 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, თამბაქოს და ბოსტნეულის წარმოება, უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი განვითარება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება, არ დავივიწყოთ, რომ ეს დარგი, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, კვლავ ერთობ ჩამორჩენილი დარგია, შევქმნათ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა, სულ უფრო განვავითაროთ მევენახეობა და მებაღეობა, — ასეთია სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები.

პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის იმითაც პოულობს გამოხატულებას, რომ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. წელს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობისათვის გეგმით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდება 300 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც 54,4 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე გასულ წელს.

1957 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს ქალაქებსა და სოფელ ადგილებში ძირითადად საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას, სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გადიდებას, მშრომელთა კულტურული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად აგებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტიც. საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაპროექტებულია შემოსავლის ნაწილში 3.637.016 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 3.621.197 ათასი მანეთის რაოდენობით. 1956 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი დიდდება 400.219 ათასი მანეთით, გასავალი 387.832 ათასი მანეთით. ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სახსრები უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას.

სესიაზე დეპუტატების გამოსვლები მოწმობენ, რომ განსახილველად წარდგენილ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმასა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ერთსულოვნად იწონებს რესპუბლიკის უზენაესი ორგანო — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ეჭვი არ არის, მათ მოიწონებს და მხარს დაუჭერს მთელი ქართველი ხალხი.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების დადგენილებებით აღჭურვილი მშრომელები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებით, სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებით რესპუბლიკის მშრომელები დიდ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რესპუბლიკური გაზეთის „სოციალისტიკ ყაზახსტანის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკური გაზეთის „სოციალისტიკ ყაზახსტანის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში მისი ორგანიზატორული როლის აღსანიშნავად **გაზეთი „სოციალისტიკ ყაზახსტანი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 19 მარტი.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა და პარტიათა დელეგაციებს შორის

21 მარტს მოსკოვში, კრემლში, დაიწყო საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის მოლაპარაკება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციასთან.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. მალენკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ე. ი. გრომოვი.

უნგრეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი და მრეწველობის მინისტრი ანტალ აპრო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საგარეო საქმეთა მინისტრი იმრე ხორვატი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი და კულტურის მინისტრი დიულა კალი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი კაროი კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი გეზა რევესი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იანოშ ბოლდოცკი.

ურთიერთ მეგობრული მისალმების შემდეგ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა და პარტიათა დელეგაციები შეუდგნენ იმ პრობლემების ყოველმხრივ განხილვას, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც გულითად და ძმურ ვითარებაში მიმდინარეობდა, იანოშ კადარმა დაახასიათა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. უნგრეთის მთავრობის, სოციალისტური მუშათა პარტიისა და უნგრელი ხალხის სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისადმი გულწრფელი ძმური დახმარებისათვის.

შემდეგ მოლაპარაკების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. აზრთა შესაბამისი გაზიარება მოხდა აგრეთვე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებასთან.

მოლაპარაკების დროს ყველა აღძრულ საკითხზე გამოვლინდა ერთსულოვნება და ურთიერთგაგება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაევალოს ორივე მხარის ექსპერტებს მოამზადონ შესაბამისი წინადადებანი დელეგაციების სხდომებზე განსახილველად.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 20 მარტს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

საუზმის დროს, რომელმაც გულწრფელ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, მოხდა სიტყვების გაცვლა. გულთბილი, მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და იანოშ კადარმა. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა 21 მარტს მიიღო საბჭოთა კავშირში ჩამოსული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი იანოშ კადარი.

მიღების დროს გაიმართა მეგობრული და გულითადი საუბარი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

გუშინ, 21 მარტს, მუშაობას განაგრძობდა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. დილის 9 საათზე დაიწყო მესამე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. დ. კუპრაძე** და მისი მოადგილეები **ვ. დ. კოზაევი, ლ. კ. ნაზაძე.**

განახლდა განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატი **ჰ. ა. ორჯონიკიძე** (ორჯონიკიძის რაიონის ბორითის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრი **ი. დ. ართმელაძე,** დეპუტატი **ა. ა. ავაზაშვილი** (ყვარლის რაიონის მთისძირის საარჩევნო ოლქი), სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. ს. ჩიაევი,** დეპუტატები **მ. ე. ასათიანი** (სამტრედიის რაიონის საჯავახოს საარჩევნო ოლქი), **ტ. ვ. ფოფხაძე** (ქალაქ ჭიათურის სტალინის საარჩევნო ოლქი), **გ. ს. სეხნიაშვილი** (მცხეთის რაიონის საგურამოს საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი **გ. პ. ხომერიკი,** დეპუტატები **ი. გ. რთველიაშვილი** (გორის რაიონის ტყვიავის საარჩევნო ოლქი), **ვ. ვ. ლეევა** (ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი), **დ. ჯ. მამედოვი** (მარნეულის რაიონის შაუმიანის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ს. ს. ლორთქიფანიძე,** დეპუტატები **ზ. ბ. გელდიაშვილი** (თელავის რაიონის ნაფარეულის საარჩევნო ოლქი), **კ. ნ. შავიშვილი** (ქალაქ ბათუმის გორკის საარჩევნო ოლქი).

კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი შემუშავებულია იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახულია პარტიის XX ყრილობის მიერ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებით, და უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის შემდგომ განვითარებას და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ნაშუადღევის პირველ საათზე დამთავრდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დილის სხდომა.

21 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ს. ქობულია,** დეპუტატები **ვ. ვ. კავაძე** (ასპინძის რაიონის ასპინძის საარჩევნო ოლქი), **გ. ნ. შეროზია** (გეგეჭკორის რაიონის დიდი ჟყონის საარჩევნო ოლქი), **ნ. ი. როდომანჩენკო** (ქალაქ თბილისის ნავთლუღის საარჩევნო ოლქი), **მ. ფ. ჩხეიძე** (მარნეულის რაიონის სადახლოს საარჩევნო ოლქი), **ჰ. ს. აბესაძე** (ჭიათურის რაიონის სვირის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ი. ბოჭორიძე,** დეპუტატები **ი. ა. მესხიშვილი** (სიღნაღის რაიონის სიღნაღის საქალაქო საარჩევნო ოლქი), **გ. ნ. ჯიბლაძე** (ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის საარჩევნო ოლქი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის საღამოს სხდომა.

22 მარტს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. ზურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ვ. გოძიაშვილი,** გუდაუთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ლ. შამბა,** გორის საკონსერვო ქარხნის ბრიგადირი **შ. ბერიძე,** წითელწყაროს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **მ. ალავერდაშვილი,** ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის ნოვატორი ხარატი **ა. აბაკუმი,** სტალინირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ქრისტესიაშვილი,** ხაშურის რაიონის ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის მერგოლური **ნ. მახარაშვილი.**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

დღიური

დღეს, 22 მარტს, საღამოს 8 საათზე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს ვლადიმერ კანდელაკის ჰეროიკულ კომედიას „მაია წუნეთელს“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნით რეჟისორებს ლ. შატბერაშვილს და საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს გ. კაბისოვს, მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. გაგლოევი, კომპოზიტორი — ა. ჩორგოლაშვილი.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ ხალხური არტისტი დ. მამიევი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ზ. გაგლოევა, გ. გუბიევი, ვ. ცხოვრებოვი, ზ. თუაევი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. ტაუგაზოვი, მსახიობები ხ. მარგიევი, კ. კოჩიევი, ა. გელდიევი, კ. ჩოჩიევი, ჩ. გაზაევი, ი. ტეხოვი, ი. ჯიკაევი, დ. ფარახტაევი, შ. ძიფოევი.

დღეს 12 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგება დეკადის მონაწილეთა და რუსთაველის თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი შეხვედრა.

ქალაქ რუსთავში საღამოს 8 საათზე მეტალურგთა კულტურის სასახლეში სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გამართავს კონცერტს.

პიესების განხილვა

გუშინ საქართველოს სახელობის კავშირის კლუბში გაიმართა დრამატურგთა სექციის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მ. მრევლიშვილმა.

სხდომაზე განხილულ იქნა ოსი დრამატურგების კ. ხეთაგუროვის, ბ. ბრითაევის, ა. ქუცოევის, ლ. გურჯიბეკოვის, რ. კოჩისოვას, დ. ქოროევის, ჩ. ბეგიზოვის, ს. კულაევის, ი. კავკაზაგის, ი. ხარებოვის, მ. შავლოხოვის, ვ. სანაკოევის, რ. ჩოჩიევის, დ. ჯიოევის, ნ. ჯუსოევის, გ. ძუგაევის, დ. ტუაევის, ვ. გაგლოევის, გ. პლიევის ნაწარმოებები.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვებით გამოვიდნენ შ. აფხაიძე, ნ. ჯუსოევი, მ. ჯაფარიძე, ა. აგლაძე, მ. ბარათაშვილი, ს. ჭილაია, ო. ჩიჯავაძე, ს. მთვარაძე, ი. ვაკილი, ნ. კევლიშვილი, ვ. პატარაია, გაფეზი, გ. ბესტაევი, ვ. სანაკოევი.

საკოლმეურნეო ნაბეჭდი გაზეთები

11 მარტს წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოვიდა კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი „წითელი არბოშიკის“ პირველი ნომერი. გაზეთში დაბეჭდილ წერილებსა და კორესპონდენციებში ლაპარაკია სოფლის მშრომელთა საქმიანობაზე, კოლმეურნეობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. გაზეთი გამოვა ათ დღეში ერთხელ.

საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთის „ნატანებელი კოლმეურნის“ პირველი ნომერი გამოვიდა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენ მოისმინეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმის შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამავალა მოგახსენოთ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, ისევე როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, შედგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესაბამისად და სათანადო ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების განხორციელებას. ვიდრე 1957 წლის ბიუჯეტის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ მოგახსენოთ 1955 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად მაჩვენებლებზე და წინასწარი ანგარიშის მონაცემების მიხედვით 1956 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებზე.

საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მასში შეტანილი ყველა ცვლილებით, შედგენდა შემოსავლის ნაწილში 2.697.989 ათას მანეთს და გასავლის ნაწილში — 2.688.649 ათას მანეთს. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, 1955 წლის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 2.743.405 ათასი მანეთის ოდენობით, რაც გეგმის 101,7 პროცენტს შეადგენს, და გასავლის ნაწილში — 2.731.117 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 101,6 პროცენტით. გასავალზე შემოსავლის გადამეტებამ 12.288 ათასი მანეთი შეადგინა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის, კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების, წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა და თელავის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ 1955 წელს ვერ შეასრულეს ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმები.

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1955 წელს შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 103,8 პროცენტით და გასავლის ნაწილში 101,8 პროცენტით. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი ვერ შეასრულეს ვოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ბაგერის, ლენტეხის და ზოგიერთმა სხვა რაიაღმასკომმა. ბიუჯეტის გასავლის ნაწილში სახსრები ვერ აითვისეს ხაშურის, დუშეთის, ონის, ტყიბულის და სხვა რაიაღმასკომებმა.

იმის გამო, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საკმაო ყურადღებით არ კიდებიან საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობას, 1955 წელს იყო ადგილობრივი ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცების ვადების დარღვევის შემთხვევები ქალაქ ჭიათურაში, ბორჯომის, მესტიის, ონორჯონიკიძის, გორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წინასწარი მონაცემებით შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 3.280.856 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 101,4 პროცენტით და გასავლის ნაწილში — 3.254.566 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ დაზუსტებული გეგმის 100,7 პროცენტით. შემოსავლმა გასავალს გადააჭარბა 26.290 ათასი მანეთით.

1956 წელს გადაჭარბებით შესრულებული სოციალისტური მეურნეობიდან შემოსავლის გეგმა. დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 2.580.374 ათასი მანეთის ნაცვლად შემოსულია 2.620.291 ათასი მანეთი. მათ შორის 107,9 პროცენტით არის შესრულებული ბრუნვის გადასახადის ანარიცხების გეგმა. ბევრმა სამინისტრომ გადაჭარბებით შეასრულა თავისი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხების ხაზით. ამავე დროს 1956 წელს თავიანთი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე ვერ შეასრულეს ადგილობრივი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის, ვაჭრობის, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა და სხვ.

1956 წლის ბიუჯეტის სახსრებით რესპუბლიკაში განხორციელდა სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიდი პროგრამა.

სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე მთლიანად 1956 წელს დაიხარჯა 999.838 ათასი მანეთი ბიუჯეტით გათვალისწინებული 973.069 ათასი მანეთის ნაცვლად. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და დაწესებულებათა დაფინანსებაზე 1956 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები ათვისებულია 2.031.157 ათასი მანეთის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით 1956 წელს რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადმოცემულ იქნა მრავალი საწარმო, სამეურნეო ორგანიზაცია და სოციალურ-კულტურული დაწესებულება, რომლებიც წინათ საკავშირო ორგანოების გამგებლობაში იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი მეურნეობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, საწარმოთა მუშაობის გასაჯანსაღებლად და დამატებითი შემოსავლის გამოსავლინებლად.

საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოსავლის ნაწილში 3.637.016 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 3.621.197 ათასი მანეთის მოცულობით. გასავალზე შემოსავლის გადამეტება შეადგენს 15.819 ათას მანეთს.

1956 წლის ბიუჯეტთან შედარებით რესპუბლიკის 1957 წლის ბიუჯეტის შემოსავალი მატულობს 400.219 ათასი მანეთით, ანუ 12,4 პროცენტით, ხოლო გასავალი 387.832 ათასი მანეთით, ანუ 12 პროცენტით.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 3.148.842 ათას მანეთს და გასავალი 1.808.469 ათას მანეთს. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1957 წლის ბიუჯეტების საერთო მოცულობა დაგეგმილია 1.812.728 ათასი მანეთის ოდენობით. ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდა გასულ წელთან შედარებით 104.005 ათას მანეთს შეადგენს.

საჭიროდ მიმაჩნია დეპუტატებს მოვახსენო, რომ 1957 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკის მთაგორიანი რაიონების სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების გადიდებას.

1957 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი შემოსავალი შეადგენს 488.174 ათას მანეთს, ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან და გადასახადებიდან განსაზღვრულია 1.076.223 ათასი მანეთის ოდენობით და რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დოტაციის სახით ადგილობრივ ბიუჯეტებს მიეცემა 248.331 ათასი მანეთი.

1957 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებით სახსრები მოხმარდება: სახალხო მეურნეობის დაფინანსებას — 311.118 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს—1.401.861 ათასი მანეთი და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვას — 84.937 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ძირითად სახეობათა მიხედვით დაგეგმილია შემდეგი თანხებით:

	(ათას მანეთობით) 1956 წ.	1957 წ.
I. სოციალისტური მეურნეობის შემოსავალი	2.580.374	3.072.805
II. მოსახლეობის სახსრები	567.875	474.221
მათ შორის:		
გადასახადები მოსახლეობისაგან	311.475	274.621
ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხები	256.400	199.600

როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში გადამწყვეტ როლს სოციალისტური მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ასრულებს. ამ სახის წყაროებიდან მიღებული სახსრები ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხის 84,5 პროცენტს შეადგენს და 492.431 ათასი მანეთით, ანუ 19,1 პროცენტით ზრდება გასულ წელთან შედარებით.

სოციალისტური მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა აქვს ბრუნვის გადასახადის ანარიცხებს, რაც საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1.357.173 ათასი მანეთის ოდენობით.

მოგების ანარიცხების განსაკუთრებით დიდი თანხებია გათვალისწინებული ბიუჯეტში საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 352.827 ათასი მანეთი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსაგან — 41.105 ათასი მანეთი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსაგან — 123.260 ათასი მანეთი, კომუნალური მეურნეობის — 86.952 ათასი მანეთი, ვაჭრობის სამინისტროსაგან — 105.098 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან — 33.204 ათასი მანეთი და სხვ.

ბიუჯეტის შემოსავლის საერთო მოცულობაში გადასახადები გასულ წელსაც უმნიშვნელო იყო — ისინი 9,6 პროცენტს შეადგენდნენ. 1957 წელს მოსახლეობის გადასახადების ხვედრითი წონა ბიუჯეტის შემოსავალში კიდევ უფრო მცირდება და 7,6 პროცენტს შეადგენს.

გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი რესპუბლიკაში ძირითადად სწორად იყო აკრეფილი. მაგრამ ზოგიერთ რაიონში რაისაბჭოების აღმასკომებს და საფინანსო ორგანოებს ამ საქმეში ცალკეული ნაკლოვანებანი ჰქონდათ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს და ამის შედეგად საგრძნობი ნარჩენები აქვთ აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, ქარელის, ხობის, ლაგოდეხის და ზოგიერთ სხვა რაიონს.

როგორც დეპუტატებს მოეხსენებათ, გასულ წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი წარმატებით გავრცელდა. მეტ წილ რაიონებში სესხზე ხელმოწერა გლეხებმა ვადამდე დაფარეს ნაღდი ფულით.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალებში იყო აღნიშნული, მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივ მრეწველობის, ადგილობრივ სამშენებლო ორგანიზაციების, ადგილობრივ ტრანსპორტის, ადგილობრივ ვაჭრობის, ადგილობრივ საკომუნიკაციო საშუალებათა ზენორმატივული მარაგის დაგროვებას.

1957 წლის 1 იანვრისათვის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ირიცხებოდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატივული მარაგი 4,8 მილიონი მანეთის ოდენობით, ცეცავშირის ხაზით — 158,2 მილიონი მანეთი, ხოლო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში გასული წლის 1 ოქტომბრისათვის ზენორმატივული ნაშთი შეადგენდა 126 მილიონ მანეთს.

ზოგიერთი საწარმოს პროდუქცია დაბალი ხარისხისაა. მისი გამომუშავება ხდება მოქმედი სტანდარტის დარღვევით და არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. უკანასკნელ წლებში მიღებული მთელი რიგი დადგენილებანი ითვალისწინებენ მშენებლობის ვადების შემცირებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და ღირებულების შემცირებას. ეს მიღწეულ უნდა იქნას მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვით.

მიუხედავად იმისა, რომ საბინაო მშენებლობისათვის მნიშვნელოვანი სახსრები იყო გამოყოფილი, რესპუბლიკის ქალაქების მშრომელები ჯერ კიდევ განიცდიან ბინების ნაკლებობას. საბინაო მშენებლობის საქმეში არსებულ შესაძლებლობებს სრულად ვერ იყენებენ. საქართველოს სსრ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს საცხოვრებელი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით გეგმა შესრულებულია მხოლოდ 51 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით — 77 პროცენტით და სხვ.

გასულ წელს რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ათვისება.

წელს საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტით გაცილებით მეტი სახსრებია გათვალისწინებული, ვიდრე შარშან. საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ ამ სახსრების არა მარტო მთლიანად ათვისება, არამედ მათი ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენებაც, რადგან, ახალ საბინაო მშენებლობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული საბინაო ფონდის დაცვას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

ოკანასკნელ ხანს პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური შეიარაღების ზრდამ შესაძლებელი გახადა კოლმეურნეობებში სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ცალკეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

გასულ წელს 22 მტს-მა ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოების გეგმა, ხოლო 38 მტს-მა 1956 წელი დაამთავრა 2.372 ათასი მანეთის ზარალით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების ამოცანა — ყოველდღიურად უნდა იყოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში. უნდა აღინიშნოს, რომ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების გადიდების ერთ-ერთი მიზეზია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საგრძნობი ნაწილის მცირე დატვირთვით მუშაობა.

მაგალითად, სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ცაგერის მტს-ში შეადგენდა მხოლოდ 1.353 ჰექტარს, ამბროლაურის — 3.718, ბორჯომის — 4.500, ჭიათურის მტს-ში — 6.074 ჰექტარს.

1 ჰექტარის რბილი ხვნის საშუალო თვითღირებულება რესპუბლიკაში შეადგენს 40 მანეთსა და 14 კაპიკს, ამავე დროს ცაგერის მტს-ში იგი აღწევს 262 მანეთს, ბორჯომისა და ამბროლაურის მტს-ებში — 108 მანეთს, ხოლო ჭიათურის მტს-ში — 93 მანეთს.

ცალკეულ მტს-ებში ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატი მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოებაში მომუშავე მუშათა რაოდენობას; მაგალითად, ცაგერის მტს-ში საწარმოო პერსონალი შედგება 12 კაცისაგან, ხოლო ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი — 20 კაცისაგან.

აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები ნატურანაზღაურების წესით მიღებული პროდუქციის და სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შესამცირებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გამსხვილება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსებისათვის 1957 წელს გათვალისწინებულია 125.847 ათასი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან 96.356 ათასი მანეთი.

წყალთა მეურნეობის ხაზით დაბანდებანი გათვალისწინებულია 80.574 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 66.671 ათასი მანეთი; აღნიშნული თანხიდან კაპიტალურ დაბანდებებზე დაიხარჯება 47 მილიონი მანეთი, მათ შორის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე — 18 მილიონი მანეთი.

წყალთა მეურნეობის ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობები 1957 წელს დამატებით მიიღებენ 8.900 ჰექტარ სარწყავ და 2.000 ჰექტარ ამომშრალ ნაყოფიერ მიწებს.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხაზით 1957 წლის დაბანდებანი შეადგენენ 141.944 ათას მანეთს, ანუ 20,6 მილიონი მანეთით მეტს გასულ წელთან შედარებით. აღნიშნული თანხიდან 68.143 ათასი მანეთი გამოიყოფა ბიუჯეტიდან, ხოლო 73.801 ათასი მანეთი — სამინისტროს საკუთარი სახსრებიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან მიაღწიონ პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური რესურსების დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელს თავიანთი მუშაობა გაუმჯობესეს.

ამავე დროს სამინისტროს ცალკეულმა საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს საწარმოო-საფინანსო გეგმები და დიდი ზარალით დაამთავრეს სამეურნეო წელი.

გასულ 1956 წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დიდი დახმარება მიიღეს სახელმწიფოსაგან კრედიტების სახით.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობები მიიღებენ გრძელვადიან საწარმოო სესხებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ხაზით 50 მილიონი მანეთის, ხოლო სოფლის მოსახლეობა 15 მილიონი მანეთის ოდენობით.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. საჭიროა ისინი გამოვლინებულ და მობილიზებულ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის გადიდებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა რენტაბელობის ზრდისათვის.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნულია მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ეკონომიურად გამოყენების აუცილებლობა. ამას მოითხოვს ჩვენგან სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ წარმოების ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. საჭიროა, რომ სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში დასახული თვითეული ღონისძიება ფასდებოდეს მისი ღირებულების გათვალისწინებით. საჭიროა ყოველმხრივ იქნას შესწავლილი, რა უჯდება სახელმწიფოს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელება და როგორი იქნება მისი ეკონომიური და ფინანსური ეფექტი.

დეპუტატებს მოეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დასახა დიდი ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რაც დიდმნიშვნელოვან ეტაპს მოასწავებს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში. ეს მოითხოვს საფინანსო ორგანოების როლის გადიდებას სახსრების მობილიზაციასა და სახალხო მეურნეობის დაფინანსებაში.

საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტის გასავალი

სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლისა ძირითად სახეობათა მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით:

	(ათას მანეთობით) 1956 წ.	1957 წ.
სახალხო მეურნეობა	973.069	1.027.403
სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი	2.041.676	2.368.489

ამრიგად, საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტით მთელი სახსრების 28,4 პროცენტი ხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, 65,4 პროცენტი სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაფინანსებას და მოსახლეობის მზარდ კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

სახალხო მეურნეობას, ბიუჯეტის სახსრებს გარდა, დიდი თანხები მოხმარდება საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან. ასეთი სახსრების დახარჯვა 1957 წელს გათვალისწინებულია 864.718 ათასი მანეთის ოდენობით, რაც გასულ წელს დახარჯულ თანხას 48.747 ათასი მანეთით აღემატება. ამრიგად, 1957 წლის გეგმით სახალხო მეურნეობის განვითარებაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს სულ 1.892.121 ათასი მანეთი, ანუ 1956 წელთან შედარებით 103.081 ათასი მანეთით მეტი.

მრეწველობის დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად 1956 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს..

რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამინისტროებმა, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების და თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულების შედეგად, გადაჭარბებით შეასრულეს დაგროვების გეგმები და ამით უზრუნველყვეს ბიუჯეტის წინაშე თავიანთ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება. სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მნიშვნელოვანი ოდენობით მიიღეს ზეგეგმითი დაგროვება და 21 მილიონამდე მანეთის გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი გადაჭარბებით შეასრულეს და ბიუჯეტს გეგმის ზევით მისცეს შემოსავალი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პურის პროდუქტების მთავარმა სამმართველომ, სატყეო მრეწველობის და ზოგიერთმა სხვა სამინისტრომ.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, არღვევენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს და გეგმით გათვალისწინებული დაგროვების ნაცვლად საგრძნობი ზარალი აქვთ, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობის მართვის პრინციპებს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ პასუხს და ამასთან მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 582).

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ 1956 წლის გეგმით გათვალისწინებული 8.716 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად წელიწადი 430 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა, ხოლო საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მოგების წლიური გეგმის შესრულებას 12 მილიონი მანეთი დააკლო.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს ტრესტმა „საქყველკარაქმრეწვმა“ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 98,3 პროცენტით შეასრულა. ტრესტის 43 საწარმოდან მხოლოდ 14-მა შეასრულა საწარმოო გეგმა.

„საქხორცტრესტის“ საწარმოებმა 1956 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 92,1 პროცენტით შეასრულეს, ამასთან 17 საწარმოდან პროდუქციის გამოშვების დავალება ვერ შეასრულა ათმა.

საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტით მთელი სახსრების 28,4 პროცენტი ხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, 65,4 პროცენტი სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაფინანსებას და მოსახლეობის მზარდ კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად იზრდება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის 1957 წლის ბიუჯეტით

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

ДЕПУТАТ Б. А. ЧХЕИДЗИС МОХСЕНЕБИС ДАСАСРУЛИ

გათვალისწინებულია 2.368,5 მილიონი მანეთი, რაც 327 მილიონი მანეთით მეტია 1956 წელთან შედარებით.

განათლების ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით განკუთვნილია 1.278,8 მილიონი მანეთი, რაც 104 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1956 წელს.

რესპუბლიკის ბიუჯეტით დასაფინანსებელი 472 სბავშვო ბაღის შენახვაზე გათვალისწინებულია 60,3 მილიონი მანეთი, რაც წინა წელთან შედარებით 6,3 მილიონი მანეთით მეტია.

1956 წელს რესპუბლიკაში პირველად დაიწყო სკოლა-ინტერნატების ორგანიზაცია. მათ შესანახავად მიმდინარე წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულია 16,1 მილიონი მანეთი. სბავშვო სახლების შენახვაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 26,3 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით საყოველთაო სწავლების 4.178 სკოლის შენახვაზე, სკოლა-ინტერნატებს გარდა, დაიხარჯება 614,2 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ 13 უმაღლეს სასწავლებელში ისწავლის 8.838 სტუდენტი და 88 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — 19.371 მოსწავლე. ამ ტიპის სასწავლებელთა შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 162 მილიონი მანეთი.

პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. წლითიწლობით ფართოვდება ამ დაწესებულებათა ქსელი ქალაქად და სოფლად. საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შესანახავად გათვალისწინებულია 66,3 მილიონი მანეთი. ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსდება 1.150 ბიბლიოთეკა, 139 კულტურის სახლი და კლუბი, 1.511 ქოხ-სამკითხველო და სოფლის კლუბი.

მეცნიერების განვითარებაზე ასიგნობანი ბიუჯეტიდან საგრძნობლად გაიზარდა და შეადგენს 166 მილიონ მანეთს. აქედან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესანახავად გათვალისწინებულია 92,8 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების შესანახავად — 22,3 მილიონი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შესანახავად — 24,9 მილიონი მანეთი.

იზრდება ხარჯები რესპუბლიკის ბიუჯეტით ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების, მუსიკალური დაწესებულებებისა და ხელოვნების დარგში სხვა ღონისძიებათა დაფინანსებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 36,5 მილიონი მანეთი.

გარდა ამისა, თეატრები და მუსიკალური დაწესებულებები თავიანთი საკუთარი შემოსავლიდან დახარჯავენ 38,9 მილიონამდე მანეთს.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც მომდინარე წლის დამლევს გაიმართება მოსკოვში, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 11.477 ათასი მანეთი. აქედან 1957 წელს დაიხარჯება 9.477 ათასი მანეთი; მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენისათვის — 2.150 ათასი მანეთი. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება დეკადის წარმატება.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ლიტერატურის გამოშვება. ბეჭდვითი სიტყვის დასაფინანსებლად 1957 წელს დაიხარჯება 19.700 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში 1956 წელს მუშაობდა 753 მოძრავი კინოდანადგარი. მათი რიცხვი 1957 წლის ბოლოსათვის 849-მდე უნდა გაიზარდოს. 1957 წლისათვის კინოდან საერთო შემოსავალი გათვალისწინებულია 98,2 მილიონი მანეთის ოდენობით.

ყოველწლიურად იზრდება ხარჯები მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე; 1957 წლის ბიუჯეტის პროექტით ამ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 620,4 მილიონი მანეთი, ე. ი. 38 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის გადიდებულია ხარჯები კვებაზე როგორც ქალაქის, ისე სოფლის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში. სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯების ნორმები გადიდებულია ქალაქის სამედიცინო დაწესებულებებისათვის დამტკიცებულ ნორმებამდე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ კურორტების ქსელის გაფართოებისა და მშრომელთა საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები გადმოეცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. ამასთან დაკავშირებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

1957 წელს იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი 64 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი 11.915 საწოლით. ისინი მომსახურებას გაუწევენ 168 ათასზე მეტ დამსვენებელს. კურორტებზე საერთო დანახარჯები გათვალისწინებულია 56,9 მილიონი მანეთი. ამ დანახარჯებში ბიუჯეტის წილი შეადგენს 21,8 მილიონ მანეთს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა იზრუნოს საკურორტო მეურნეობისათვის გამოყოფილი სახსრების სწორი ათვისებისათვის და გააუმჯობესოს რესპუბლიკის კურორტების მუშაობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით ასიგნობები მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტიდან იზრდება 185,2 მილიონი მანეთით და შეადგენს 450,3 მილიონ მანეთს.

პენსიებით მშრომელთა უზრუნველყოფად სახელმწიფოს მიერ ასეთი მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფა ავალებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს გააძლიერონ კონტროლი საპენსიო კანონმდებლობის დაცვისა და გამოყოფილი სახსრების სწორად ათვისებისადმი.

იზრდება ასიგნობები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე. 1957 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე დაიხარჯება 18.990 ათასი მანეთი. აქედან სასპორტო ნაგებობათა რემონტისათვის გამოიყოფა 2.180 ათასი მანეთი.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად 1957 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები 172,1 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს ბიუჯეტის საერთო მოცულობის მხოლოდ 4,7 პროცენტია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მათი ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტში, 1956 წელთან შედარებით, მცირდება.

ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გამარტივების მიზნით გასულ წელს რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი და შესაბამისად შემცირდა მისი შესანახავი ხარჯები. საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ადმინისტრაციული აპარატი, წინასწარი მონაცემებით, შემცირებულია 1.200 კაცით, ხოლო მისი შესანახავი ხარჯები წლიური გაანგარიშებით — 10,4 მილიონი მანეთით.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ, პარტიისა და მთავრობის დადგენილების მიუხედავად, ზოგიერთი სამინისტრო და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ნაცვლად პარალელურად არსებული რგოლების ლიკვიდაციისა და აპარატის გამარტივებისა, აყენებენ საკითხს მისი გადიდების შესახებ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ამხანაგო დეპუტატებო! სულ ცოტა ხნის წინათ ქართველმა ხალხმა აღნიშნა თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავი და შეაჯამა მიღწევები, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამ 36 წლის მანძილზე მოიპოვეს.

17 მარტს ჩვენს რესპუბლიკაში ერთსულოვნებისა და დიდი აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ“. ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1957 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულება ხელს შეუწყობს ახალ გამარჯვებათა მოპოვებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საგეგმო საგიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ვ. ჭიჩაქაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაკვმბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებით აღტაცებულნი, თავდადებით იბრძვიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა.

წარმატებანი, რომლებიც გასულ წელს მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, მოწმობენ მათს მონოლითურ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გამოხატავენ მათს მტკიცე ნებისყოფას იბრძოლონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენ მოისმინეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენებანი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ. ამ მოხსენებებში მოყვანილი მონაცემები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის შესახებ, კაპიტალური დაბანდებებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნობათა მნიშვნელოვანი გადიდების შესახებ მკაფიოდ გამოხატავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ მზრუნველობას საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1957 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდას 608 მილიონი მანეთით, ანუ 6 პროცენტით გასულ წელთან შედარებით.

დიდი ღონისძიებანი განხორციელდება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წლის გეგმით კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები პირველ რიგში მოხმარდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტების დამთავრებას, რომლებიც უახლოეს დროში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, რაც შესაძლებელს გახდის ეფექტიანად გამოვიყენოთ კაპიტალური დაბანდებანი და მწყობრში ჩავაყენოთ ბევრი ახალი სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში, საბინაო მშენებლობაში, სკოლების, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობაში.

განიხილა რა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გაანგარიშებანი და დასაბუთებანი გათვალისწინებულ ღონისძიებათა ხაზით, საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის გეგმა შედგენილია სწორად და სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების დარგში.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახალხო-სამეურნეო გეგმა. ამასთან ერთად, როგორც ეს აღნიშნულია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, რომელიც დეპუტატებს დაურიგდათ, ნედლეულის რესურსები შესაძლებლობას იძლევიან გავადიდოთ ფეხსაცმლის წარმოება 50 მილიონი მანეთით. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილია ანგარიში 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საბანკო და საფინანსო მასალების შემოწმების შედეგად გამორკვეულია, რომ 1955 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია: შემოსავლის ნაწილში 2.743.405 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 101,7 პროცენტით, და გასავლის ნაწილში 2.731.117 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 101,6 პროცენტით. შემოსავალი აღემატება გასავალს 12.288 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში და ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ აღინიშნოს სამინისტროები და უწყებები, რომლებმაც ვერ შეასრულეს მათთვის ბიუჯეტით დაწესებული გადასახდელთა გეგმა. მათ რიცხვს ეკუთვნიან: საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრო, კავშირგაბმულობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო.

საბიუჯეტო კომისიამ აგრეთვე განიხილა წინასწარი მონაცემები 1956 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 3.280.856 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 101,4 პროცენტით, გასავლის ნაწილში — 3.254.566 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 100,7 პროცენტით. შემოსავალი აღემატება გასავალს 26.290 ათასი მანეთით.

გასული წლის ბიუჯეტი, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, აბაშის, კასპის, მახარაძის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში.

მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, საქალაქო და რაიონული ორგანოების უფლებათა გაფართოების დარგში მნიშვნელოვნად ამაღლებენ მათს როლსა და ინიციატივას მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და არსებული საწარმოო-საფინანსო რეზერვების უკეთ გამოყენების საქმეში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ გადავიდე საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტის დახასიათებაზე, მოგახსენოთ საბიუჯეტო კომისიის ზოგიერთი შესწორების შესახებ ცალკეული შემოსავლისა და გასავლის ხაზით და შევეხო სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის იმ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორება სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილია შემოსავლის ნაწილში — 3.637.016 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.621.197 ათასი მანეთის მოცულობით. წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი დიდდება 400.219 ათასი მანეთით, ანუ 12,4 პროცენტით, ხოლო გასავალი — 387.832 ათასი მანეთით, ანუ 12 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა გადიდებულია 104.005 ათასი მანეთით.

1957 წლის ბიუჯეტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკის საზღვრისპირა და მთიანი რაიონების სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების გადიდებას. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად მცირდება მოსახლეობისაგან გადასახდელთა თანხები და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი. როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს გათვალისწინებულია აგრეთვე ხელისმოწერით გასავრცელებელი სახელმწიფო სესხის თანხების მნიშვნელოვნად შემცირება. ყოველივე ეს განაპირობებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ისევე როგორც წარსულ წლებში, დიდი სახსრებია გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. 1957 წელს ამ მიზნებზე დაიხარჯება 1.027.403 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მთელი სახსრების 28,4 პროცენტი, ხოლო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ჩათვლით სახალხო მეურნეობას სულ მოხმარდება 2 მილიარდამდე მანეთი.

მრეწველობის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 250,5 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე — 232 მილიონამდე მანეთი, კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე — 262 მილიონი მანეთი. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილია 2.368.489 ათასი მანეთი, ანუ 16 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი სახსრები წინა წელთან შედარებით დიდდება 185 მილიონი მანეთით და შეადგენს 450 მილიონ მანეთს.

მომდინარე წელს მნიშვნელოვნად დიდდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ცალკეული ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებმა საბიუჯეტო კომისიას წარმოუდგინეს შუამდგომლობანი სხვადასხვა ღონისძიებებისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

განიხილა რა აღნიშნული შუამდგომლობანი, საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა მხარი დაეჭიროს ზოგიერთ მათგანს. სახელდობრ — შესაძლებლად არის მიჩნეული გადიდდეს ასიგნობანი: სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად — 2.670 ათასი მანეთით, სკოლების კაპიტალური რემონტისათვის და განათლების დაწესებულებათა სხვა ხარჯებისათვის — 1.680 ათასი მანეთით, სბავშვო სანატორიუმების კაპიტალური რემონტისათვის — 300 ათასი მანეთით, სასპორტო ბაზების კაპიტალური რემონტისათვის — 500 ათასი მანეთით, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისა და კომუნალურ-საბინაო მეურნეობის ღონისძიებებისათვის — 1.050 ათასი მანეთით.

ამრიგად, წინადადებაა გადიდდეს საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სულ 6.200 ათასი მანეთით და ეს თანხა ცალკეულ ადგილობრივ ბიუჯეტებზე განაწილდეს შემდეგი ოდენობით:

აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტი	— 600 ათასი მანეთით,
აჭარის ასსრ	— 400 ათასი მანეთით,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის	— 250 ათასი მანეთით,
ქალაქ თბილისის	— 500 ათასი მანეთით,
ქალაქ ქუთაისის	— 600 ათასი მანეთით,
ქალაქ ფოთის	— 125 ათასი მანეთით,
ქალაქ გორის	— 100 ათასი მანეთით,
აბაშის რაიონის	— 120 ათასი მანეთით,
ახალქალაქის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ახალციხის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ახმეტის რაიონის	— 50 ათასი მანეთით,
ბოგდანოვკის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ბოლნისის რაიონის	— 110 ათასი მანეთით,
ვანის რაიონის	— 130 ათასი მანეთით,
გარდაბნის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
დუშეთის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ზუგდიდის რაიონის	— 130 ათასი მანეთით,
კასპის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ყვარლის რაიონის	— 120 ათასი მანეთით,
მახარაძის რაიონის	— 180 ათასი მანეთით,
ლანჩხუთის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
საგარეჯოს რაიონის	— 200 ათასი მანეთით,
სამტრედიის რაიონის	— 340 ათასი მანეთით,
სენაკის რაიონის	— 150 ათასი მანეთით,
სიღნაღის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
თელავის რაიონის	— 130 ათასი მანეთით,
ხაშურის რაიონის	— 240 ათასი მანეთით,
წულუკიძის რაიონის	— 100 ათასი მანეთით,
ჩოხატაურის რაიონის	— 100 ათასი მანეთით.

მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებმა აღძრეს აგრეთვე საკითხი ახალი კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ. საბიუჯეტო კომისიამ მიზანშეწონილად ვერ მიიჩნია დაეკმაყოფილებინა აღნიშნული შუამდგომლობანი, ვინაიდან სახალხო მეურნეობის 1957 წლის გეგმით კაპიტალურ დაბანდებებზე გათვალისწინებული სახსრები ძირითადად ხმარდება იმ მშენებლობებს, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაცემულ უნდა იქნას უახლოეს ხანში.

საბიუჯეტო კომისიამ შეამოწმა აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ყველა წყარო და გამონახა რეალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ დამატებით გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტის შემოსავალში 6.700 ათასი მანეთი. სამრეწველო საწარმოთა 1956 წლის ბალანსების და ანგარიშების ანალიზებისა და 1957 წლის საფინანსო გეგმების შემოწმების შედეგად მიზანშეწონილია გადიდებულ იქნას გეგმა მოგების ანარიცხებისა: საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 5.140 ათასი მანეთით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 1.340 ათასი მანეთით, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 220 ათასი მანეთით.

ამრიგად, საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტი აღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით შემდეგი ოდენობით: შემოსავლის ნაწილში — 3.643.716 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში — 3.627.397 ათასი მანეთის ოდენობით. გასავალზე შემოსავლის გადამეტება განისაზღვროს 16.319 ათასი მანეთით.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც ცნობილია, სოციალისტური მეურნეობის საწარმოთა დაგროვება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ თვითეული სამინისტროს და სამეურნეო ორგანიზაციის მიერ საწარმოო გეგმების, მოგების გეგმებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმების უთუოდ შესრულება ბიუჯეტის დავალებათა წარმატებით განხორციელების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილისა და ამხ. ბ. ა. ჩხეიძის მოხსენებებში აღნიშნული იყო ცალკეულ სამინისტროთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

თავის მხრივ საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მიექცეს დეპუტატთა ყურადღება ამოცანებს, რომლებიც საგეგმო-საფინანსო ორგანოების წინაშე დგას სამეურნეო კონტროლის გაძლიერების დარგში. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ დაგროვების გეგმებს და მთელ რიგ შემთხვევებში ზარალით მუშაობენ.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ 1956 წელს 8.716 ათასი მანეთი მოგების მიღების ნაცვლად 430 ათასი მანეთი იზარალა.

1956 წელს მოგების გეგმის შესრულებას საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ დააკლო 11.613 ათასი მანეთი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 3.415 ათასი მანეთი.

სამრეწველო საწარმოების მიერ მოგების 1956 წლის საერთო გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად 97 საწარმომ გეგმის შესრულებას დააკლო თითქმის 44 მილიონი მანეთი, ხოლო 37 საწარმომ, რომლებიც დაგეგმილი იყვნენ როგორც მომგებიანი საწარმოები, იზარალა 25 მილიონი მანეთი.

მიუხედავად საერთო დადებითი შედეგებისა, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 11 მეურნეობამ გასულ წელს გეგმის გადამეტებით იზარალა 4.237 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ბიუჯეტს დააკლო მოგების ანარიცხები 18.612 ათასი მანეთის ოდენობით.

სამრეწველო სამინისტროების მთელ რიგ საწარმოთა პროდუქციის ხარისხი კვლავ მეტად დაბალია. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. სამრეწველო პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკურმა ინსპექციამ გასულ წელს წუნდებული და არასტანდარტული პროდუქცია აღმოაჩინა შემოწმებული 136 საწარმოდან 126-ში. საქართველოს სარეწაო საბჭოს 46 საწარმოში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 13 საწარმოში და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 11 საწარმოში პროდუქციის გამოშვება აიკრძალა, სანამ გაუმჯობესდებოდეს მისი ხარისხი.

შეუწყნარებელია აგრეთვე ის, რომ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სათანადო მოწყობილობით და მაღალხარისხოვანი ნედლეულით, დღემდე დიდი რაოდენობით უშვებენ დაბალი ხარისხისა და არასტანდარტულ პროდუქციას.

ამ საქმეში სერიოზული საყვედურის ღირსნი არიან ვაჭრობის სამინისტროს ცეკავშირი და სავაჭრო ბაზები, რომლებიც სუსტ გავლენას ახდენენ სამრეწველო საწარმოთა მუშაობაზე მათი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აზრით.

ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ სწორად გამოიყენონ კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები. ეს სახსრები ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენენ. მარტო საგზაო და კომუნალური მეურნეობის ობიექტების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებების რემონტზე იხარჯება 320 მილიონი მანეთი წელიწადში.

მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯების შესამცირებლად, მისი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის. მაგრამ უკანასკნელ ხანს ამ საქმისადმი ყურადღება რამდენადმე შესუსტდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი სამინისტრო და ადგილობრივი ორგანოები მმართველობის შტატების გადიდებას მოითხოვენ.

საჭიროა, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სისტემატურად ახორციელებდნენ სამმართველო აპარატის სტრუქტურის შემდგომი გამარტივებისა და მისი შესანახი ხარჯების შემცირებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ახალი, გაზრდილი ამოცანები ჩვენი რესპუბლიკის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში ბევრ რამეს ავალებს ჩვენს საგეგმო და საფინანსო ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სერიოზულად უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, უფრო ახლოს უნდა იყვნენ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა პრაქტიკულ საქმიანობასთან, გააძლიერონ კონტროლი მათი მუშაობისადმი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი შეესაბამებიან ხალხის საარსებო ინტერესებს. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, ახალ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ვ. ა. ზორინის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის 18 მარტის სხდომაზე

ლონდონი, 19 მარტი. (საკადესი). გამოვიდა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის პირველ სხდომაზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტი იწყებს ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის — განიარაღების პრობლემის განხილვას, რომელიც ასე უშუალოდ ეხება ყველა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქვეკომიტეტის წინაშე დასმულია ამოცანა გამონახოს გზები გენერალური ასამბლეის ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის — შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას და სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მნიშვნელოვნად შემცირებას, ამასთან ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. ამ პრობლემაზე შეთანხმების მიღწევა გაკაფავდა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფის გზას. იგი ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვან შენელებას და შექმნიდა პირობებს სხვა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა ამ მოლაპარაკების მსვლელობაში მიაღწიოს შეთანხმებას პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ განიარაღების დარგში, ვ. ა. ზორინმა თქვა, რომ ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას და მის ამოღებას სახელმწიფოთა შეიარაღებიდან. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა შეიძლება განხორციელდეს თანმიმდევრულ ეტაპებად. მაგრამ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საერთო პრობლემიდან მიზანშეწონილია ამჟამად გამოიყოს საკითხი ამ სახეობათა იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და უკვე ახლა გადაიჭრას იგი ისე, რომ შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ არ იქნას დაკავშირებული შეთანხმებასთან განიარაღების სხვა საკითხებზე.

მოიგონა რა დამსწრეთ საბჭოთა წინადადება ამ საკითხზე, შეტანილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე, ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ქვეკომიტეტს დაევალა განიხილოს საბჭოთა კავშირის ეს წინადადება. ქვეკომიტეტმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს და მიიღოს გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, როგორც ამას მოითხოვენ მსოფლიოს ხალხები.

ჩამოაყალიბა რა სსრ კავშირის პოზიცია განიარაღების კონკრეტულ პრობლემებზე, ვ. ა. ზორინმა გამოთქვა საბჭოთა დელეგაციის რწმენა, რომ თუ იქნება ქვეკომიტეტის მუშაობაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს კეთილი ნება, არ შეიძლება იყოს გადაულახავი დაბრკოლებები განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე. ასეთი შეთანხმების მიღწევისათვის არის ყველა შესაძლებლობა მით უფრო, რომ წარსული მოლაპარაკების მსვლელობაში დაისახა პოზიციების დაახლოება მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. ქვეკომიტეტის ამ სესიას უნდა მოჰყვეს პრაქტიკული მოქმედება განიარაღების დარგში, რასაც დიდი ხანია მოელიან მსოფლიოს ხალხები.

„საბჭოთა მთავრობამ, — თქვა ვ. ა. ზორინმა, — გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე შეტანილი ყველა წინადადების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ, იმ მიზნით, რომ ქვეკომიტეტის მუშაობა თავიდანვე გადაყვანილ იქნას განიარაღების ძირითადი საკითხების საქმიანი პრაქტიკული გადაჭრის რელსებზე, რათა უსწრაფესად იქნას მიღწეული საერთაშორისო შეთანხმება ამ საკითხზე, გადაწყვიტა გადადგას ახალი ნაბიჯი ქვეკომიტეტის მონაწილეთა პოზიციების დასაახლოებლად.

ხელმძღვანელობს რა ამით, საბჭოთა დელეგაციას საბჭოთა მთავრობის დავალებით ქვეკომიტეტის განსახილველად შემოაქვს ახალი წინადადება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხის შესახებ

საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაიდოს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, რომელმაც გენერალური ასამბლეის IX სესიის 1954 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა გაითვალისწინოს:

ა) მთელი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და მნიშვნელოვანი შემცირება;

ბ) ატომგულის იარაღისა და მასობრივი მოსპობის ყოველგვარი ტიპის იარაღის გამოყენებისა და დამზადების სრული აკრძალვა, აგრეთვე ატომგულის იარაღის არსებული მარაგის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის.

გ) ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესება საკონტროლო ორგანოს მეშვეობით, რომელსაც ექნება იმისათვის საჭირო უფლებები, რწმუნებები და ფუნქციები, რომ უზრუნველყოს მთელი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეთანხმებული შემცირების და ატომგულისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის ეფექტიანი შესრულება და ატომის ენერგიის გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით.

ამის შესაბამისად საერთაშორისო კონვენცია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოყვანილ ძირითად დებულებებს, რომლებიც შეეხება სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ორი პერიოდის განმავლობაში ამ ღონისძიებათა განხორციელების წესს.

პირველი პერიოდი — ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდება 1957-1958 წლებში

1957-1958 წლების განმავლობაში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

1. პირველი სამი თვის განმავლობაში კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები გადადგამენ ნაბიჯებს, რათა არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების იმ დონესთან შედარებით, რომელიც არსებობდა 1956 წლის 31 დეკემბრისათვის, და არ გაადიდონ თავიანთი ასიგნობანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებისათვის იმ ხარჯების დონესთან შედარებით, რაც ამ მიზნებისათვის გაწეული იყო წლის განმავლობაში, რომელიც დამთავრდა 1956 წლის 31 დეკემბერს.

2. წესდება შეთანხმებული დონე, რომლამდეც მცირდება ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც სჭარბობენ ამ დონეს, რათა არც ერთ სახელმწიფოს არ ჰყავდეს შეიარაღებული ძალები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისათვის. წარმოებს შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირება. ამ მიზნით აღნიშნული ხუთი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალების რაოდენობა, რათა ისინი არ აღემატებოდნენ რაოდენობას, რომელიც გათვალისწინებულია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის 1955 წლის 29 მარტის მემორანდუმში და საბჭოთა კავშირის 1955 წლის 10 მაისის წინადადებაში, სახელდობრ: შეერთებული შტატები—1.000.000-დან 1.500.000 კაცამდე; სსრ კავშირი — 1.000.000-დან 1.500.000 კაცამდე; ჩინეთი — 1.000.000-დან 1.500.000 კაცამდე; დიდი ბრიტანეთი — 650.000 კაცი; საფრანგეთი — 650.000 კაცი.

3. აღნიშნული 5 სახელმწიფოდან თვითეული 1958 წლის დამლევისათვის თავის შეიარაღებულ ძალებს შეამცირებს შემდეგ დონემდე: შეერთებული შტატები, სსრ კავშირი და ჩინეთი 2.500.000 კაცამდე და დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი — 750.000 კაცამდე.

შესაბამისად მცირდება სახელმწიფოთა ასიგნობანი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისათვის.

4. სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ოდენობა განსაზღვრულ იქნება მსოფლიო კონფერენციაზე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაოდ შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ მარტივი შეთანხმებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლებიც შეიცავენ დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, მხედველობაში მიღებულ იქნება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება და აგრესიის საფრთხის შემცირება. ამასთან აღნიშნულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დონეები 150-200 ათას კაცზე მეტი არ იქნება.

5. ამ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან ატომური და წყალბადის იარაღის სრულ აკრძალვამდე სახელმწიფოები, რომლებსაც ეს იარაღი აქვთ, საქვეყნოდ კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ეს იარაღი, მათ შორის ატომისა და წყალბადის მუხტიანი რაკეტული იარაღი, რომელიც თავიანთთვის აკრძალულად მიაჩნიათ.

6. სახელმწიფოები, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, ვალდებულებას კისრულობენ არ დაუშვან, რომ თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ განლაგონ ატომური სამხედრო შენაერთები და რაიმე სახეობის ატომური და წყალბადის იარაღი.

7. სახელმწიფოები, რომლებსაც სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები აქვთ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ვალდებულებას კისრულობენ მოახდინონ ამ ბაზების ლიკვიდაცია.

ის საკითხი, თუ რომელი ბაზების ლიკვიდაცია მოხდება პირველი პერიოდის განმავლობაში, დამატებით უნდა იქნას შეთანხმებული.

8. შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ამცირებენ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებულ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს $^1/_2$-ით ამ შეიარაღებული ძალების იმ დონესთან შედარებით, რომელიც იყო 1956 წლის 31 დეკემბერს.

9. შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მნიშვნელოვნად ამცირებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც განლაგებულია ნატოს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე, ხოლო სსრ კავშირი — თავის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც განლაგებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე.

აღნიშნული შემცირების ოდენობა დამატებით უნდა იქნას შეთანხმებული.

მეორე პერიოდი — ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება 1959 წლის განმავლობაში

1959 წლის განმავლობაში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

1. შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი 1959 წლის დამლევისათვის ამთავრებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირებას I განყოფილების მე-2 პუნქტში აღნიშნულ დონეებამდე.

ეს სახელმწიფოები შესაბამისად ამცირებენ თავიანთ ასიგნობებს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისათვის.

ამ პერიოდის განმავლობაში მთავრდება სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების იმ დონეებამდე შემცირების დონისძიებანი, რომლებიც დაწესდება მათთვის მსოფლიო კონფერენციაზე.

2. მთლიანად წყდება ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება. ნელ-ნელა მასალების მომავალი წარმოება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ არასამარი მიზნებისათვის.

3. მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალების და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება განხორციელდება შემცირების ოდენობის მეორე სტადიისათვის შეთანხმებულის ნახევარი ოდენობით, შემცირებისა, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით, ძალაში შევა დებულება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ატომური და წყალბადის იარაღის ამოღებისა და ამ სახეობათა იარაღის მარაგის მოსპობის შესახებ.

მაშინ მთელი ატომური მასალები მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას.

4. სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ატომური და წყალბადის იარაღის ამოღებასთან ერთად წესდება საერთაშორისო კონტროლი სამართავი რაკეტებისადმი, რათა ასეთი რაკეტების ყველა ტიპი, რომლებიც ვარგა ატომური და წყალბადის იარაღად გამოყენებისათვის, მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის იქნას გამოყენებული.

5. მთავრდება ღონისძიებანი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოელთა ყველა სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის ლიკვიდაციის დარგში.

6. შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აბორიგენებენ ღონისძიებებს გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთ შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირებისათვის. ასეთი შემცირების ოდენობის საკითხი შემდგომ უნდა იქნას შეთანხმებული.

7. შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აბორიგენებენ ღონისძიებებს ნატოს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე და სხვა უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე განლაგებული თავიანთი შეიარაღებული ძალების შემდგომ შესამცირებლად, ხოლო საბჭოთა კავშირი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებზე განლაგებული თავისი შეიარაღებული ძალების შესამცირებლად.

ასეთი შემცირების ოდენობა დამატებით უნდა იქნას შეთანხმებული.

სახსრები, რომლებიც თავისუფლდება სამხედრო საჭიროებისათვის სახელმწიფოების ასიგნობათა შემცირების შედეგად, გამოყენებულ იქნება როგორც ამ სახელმწიფოთა ხალხების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ისე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად.

სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარების ხელის შეწყობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების სპეციალური ფონდი.

ჩინეთის იმ ვალდებულებათა საკითხი, რომლებიც კონვენციიდან გამომდინარეობენ, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით.

საერთაშორისო კონტროლი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი

იმის თვალყურის სადევნებლად, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ განიარაღების შესახებ ნაკისრი ვალდებულებანი, წესდება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი, რომელსაც ექნება ამ მიზნებისათვის საჭირო ყველა უფლება და ფუნქციები.

1. საერთაშორისო საკონტროლო ორგანო განახორციელებს კონტროლს, მათ შორის ინსპექციას შუდმივ საფუძველზე, იმისათვის საჭირო მოცულობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონვენციის შესრულება ყველა სახელმწიფოს მიერ.

საკონტროლო ორგანოს ფუნქციები გაფართოვდება კონვენციით გათვალისწინებულ სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელების შესაბამისად.

2. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საკონტროლო ორგანო უკვე პირველი პერიოდის განმავლობაში დააწესებს სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ურთიერთ საფუძველზე საკონტროლო საგუშაგოებს დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე, საგუშაგოებს, რომლებიც თვალყურს დევნებენ იმას, რომ არ ხდებოდეს შეიარაღებული ძალების და შეიარაღების საშიში კონცენტრაცია.

3. დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან გამოიყენონ აეროფოტოგადაღება ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძირითადი შეიარაღებული ძალების განლაგების რაიონებში 800 კილომეტრამდე სიღრმეზე, შესაბამისად ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ძალების განლაგების აღმოსავლეთი საზღვრიდან და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძალების განლაგების დასავლეთი საზღვრიდან.

მთელ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ სასურველია სპეციალურმა კონფერენციამ განიხილოს ყველა ტიპის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების სრული ლიკვიდაციის საკითხი ისე, რომ სახელმწიფოებს დარჩეთ მხოლოდ მილიციის (პოლიციის) ისეთი კონტინგენტები, რომლებიც საჭიროა შინა უშიშროების დასამყარებლად და საზღვრების დასაცავად.

შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონის შექმნა ევროპაში

აღიარებულია მიზანშეწონილად, რომ განიარაღების პრობლემის გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის სახით ევროპაში დაწესდეს შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონა, რომელშიც შევა გერმანიის ორივე ნაწილის, აგრეთვე მათი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიები.

1. შესაბამის სახელმწიფოთა შეთანხმებაში ზონის საკითხის შესახებ გათვალისწინებული უნდა იყოს შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმ ჯარების ზღვრული დონეები, რომლებიც განლაგებულია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამ ზონაში. ასეთი დონეების საკითხი უნდა განიხილონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა.

2. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს, რომ არ იქნას დაშვებული აღნიშნულ ზონაში ატომური სამხედრო შენაერთების და რაიმე სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის განლაგება.

3. შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ვალდებულება თავიანთ ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან და მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან ყველა სადავო საკითხი.

4. ზონაში შემავალ ტერიტორიებზე შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ვალდებულებათა შესასრულებლად წესდება ერთობლივი ინსპექცია შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებისადმი.

5. გამოთქმულია იმედი, რომ ზონის საკითხზე შეთანხმების მიღწევამდე ოთხი სახელმწიფო, რომლებსაც თავიანთი ჯარები ჰყავთ გერმანიის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ განახორციელებს ღონისძიებებს ამ ჯარების შესამცირებლად იმ ოდენობით, რომელსაც თვითეული ეს სახელმწიფო განსაზღვრავს თავისი შეხედულებით".

3. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინადადება, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციას ქვეკომიტეტის განსახილველად შემოაქვს და რომელიც ემყარება საბჭოთა კავშირის 1956 წლის 17 ნოემბრის უკანასკნელი წინადადების ძირითად დებულებებს, არის კონკრეტული პროგრამა, რომელიც მოიცავს განიარაღების პრობლემის ყველა მხარეს როგორც ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში, ისე ატომური და წყალბადის იარაღის დარგში. ეს წინადადება ითვალისწინებს აგრეთვე ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა წინადადება შედგენილია იმ დებულებათა გათვალისწინებით, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი შეიცავენ, და შეიძლება კარგი საფუძველი გახდეს შეთანხმების მისაღწევად, ვ. ა. ზორინმა იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთის ქვეყნების დელეგაციები თავის მხრივ კონსტრუქციულად მიუდგებიან განიარაღების პრობლემას და თავიანთ დადებით წვლილს შეიტანენ ამ პრობლემის გადაჭრაში.

საქმიანი მიდგომა ქვეკომიტეტის განსახილველად შემოტანილი წინადადებებისადმი და მისწრაფება ერთობლივი ღონისძიებებით მივაღწიოთ შეთანხმებას, თქვა დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ჩვენი მუშაობის წარმატების საწინდარი იქნება. დაადგება რა ამ გზას, ქვეკომიტეტი შეასრულებს საპატიო ამოცანას, რომელიც მას გენერალურმა ასამბლეამ დააკისრა, და გაამართლებს ხალხების იმედს, რომელთა ყველაზე სანუკვარი სურვილია უზრუნველყონ მტკიცე ხანგრძლივი მშვიდობა და შექმნან პირობები ყველა ქვეყნის მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

თ ე ა ტ რ ი

სპექტაკლი მწყემსების ცხოვრებაზე

სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თბილისელ მაყურებელს სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის პირველ დღეს უჩვენა ვ. გაგლოევის დრამა „ზალინა".

პიესა „ზალინა" ოსეთის თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. დრამატურგს მიზნად დაუსახავს ეჩვენებინა სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი კოლმეურნეობის შრომა-საქმიანობა, იქ მიმდინარე ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულება, მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები.

ნაწარმოები აგებულია მძაფრ კონფლიქტზე, რომელიც პირველი მოქმედებიდანვე იჩენს თავს და შემდეგ მთელი სპექტაკლის მამოძრავებელი ძალაა. ეს არის წინააღმდეგობა ძველსა და ახალს შორის, წინააღმდეგობა პირადი გამდიდრების მანიით შეპყრობილ ბოროტმოქმედ ვასჯესა (ფერმის გამგე) და ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლ მოწინავე კოლმეურნეებს (ზალინა, ფიდარი და სხვ.) შორის. ამ ძირითადი კონფლიქტის პარალელურად პიესაში არის სხვა საინტერესო მომენტებიც, კერძოდ, ზალინასა და აგრონომ ბათირბეგს შორის დამოკიდებულება, რომელიც კიდევ უფრო აშწავებს კონფლიქტს და საინტერესოს ხდის სპექტაკლს.

პიესის სიუჟეტი ასეთია: ღამეა. მწყემსები საზამთრო საძოვრებიდან ცხვარს მიერეკებიან იალაღებისაკენ. საკოლმეურნეო ქონების მიმტაცებელი ფერმის გამგე ვასჯე ისარგებლებს სიბნელით და მოახერხებს გაყიდოს კოლმეურნეობის 60 ცხვარი.

მეცხვარეები ჩადიან სოფელში. კოლმეურნეები სიხარულით ეგებებიან მათ. ამ სიხარულს ჩაშლის თვითონ ვასჯე, რომელიც „დიდი მწუხარებით" მოახსენებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცხვრების „დაკარგვის" ამბავს.

კოლმეურნეები ეძებენ დაკარგულ ცხვრებს, მაგრამ ამაოდ. ვასჯე ცდილობს დაფაროს ბოროტმოქმედების კვალი. ამისათვის იგი პირველ რიგში ჩირქს სცხებს ზალინასა და ფიდარის სპეტაკ სიყვარულს, შემდეგ ახერხებს ფიდარის ჩემოდანში მალულად ჩადოს ცხვრების საფასურად აღებული ფულის ნაწილი. ფიდარს ანატომრებენ.

შემდეგ სურათებში ვხედებით მძაფრ მომენტებს, მოქმედებასა და დიალოგებს, რომელთა მიზანია ვასჯეს ბოროტი ხასიათის გახსნა. მთელი სოფელი, მისი ყველა მოწინავე ადამიანი ერთსულოვნად ირაზმება სიმართლისათვის საბრძოლველად. და, ბუნებრივია, ამ ძალის წინაშე უძლური ხდება საფუძველგამოცლილი, თავის მოქმედებაში ხალხის მხრივ ყოველგვარ მხარდაჭერას მოკლებული ვასჯე და მარცხდება.

სპექტაკლის მხატვრულად ყველაზე დასრულებული გმირია ფერმის გამგე ვასჯე. თბილისელ მაყურებელს კარგად ახსოვს ანალოგიური ხასიათის გმირები როგორც რუსთაველის, ისე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების დადგმებიდან. განსაკუთრებით სპექტაკლ „ზვავიდან", სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მამიეკი ბუნებრივობით, უშუალობითა და როლის გარდასახვის ოსტატობით მაღალ მხატვრულობას აღწევს.

მაყურებლის მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ფიდარის როლის შემსრულებელმა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. ტაუგაზოვმა. მისი ფიდარი ტემპერამენტიანი, უშიშარი და სპეტაკი მწყემსია, რომელიც მოწინააღმდეგესთან სასტიკ ბრძოლას მშვენივრად უხამებს მისთვის საყვარელი არსებისადმი — ზალინასადმი მორჩილებას.

უთუოდ უფრო ეფექტიანი იქნებოდა ზ. მედოევას მიერ განსახიერებული ზალინა, რომ მსახიობის მოქმედებაში ზოგჯერ არ იგრძნობოდეს ზედმეტი თეატრალობა. საჭიროა ამ როლის განსახიერებისას მეტი ბუნებრივობა, ტემპერამენტი, სითბო, მით უმეტეს, რომ სპექტაკლში ზალინას მეტად სიპატიო ამოცანა აკისრია. მან თავისი მოქმედებით, ცხოვრებითა და მოღვაწეობით უნდა დაამარცხოს შენიღბული მტერი, საკოლმეურნეო ქონების მიმტაცებელი. ეს ნაკლი პიესის მიზეზიც არის.

პატრიოტი კოლმეურნეების საინტერესო სახეები შექმნეს ნიჰიერმა მსახიობებმა: ა. გელდიევმა (ათთეგი) და ს. მარგიევმა (ცოფანი).

მაყურებელმა გულთბილად მიიღო საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გ. ცხოვრებოვის (ბათირბეგი), კ. ჩოჩიევის (ბურადი), ი. ტეხოვის (ბეჩირი), დ. ფარასტაევის (ხეთაგი), ვ. ჩაბიევის (აგუნდა), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების — ზ. გაგლოევას (ქოსერი) და ზ. თუაევის (უცნობი) მიერ შესრულებული როლები.

საერთოდ რეჟისორებს გ. ხუგაევსა და ს. გაზაევს, მხატვარ ს. კოჩიევს და კომპოზიტორ დ. ხახანოვს გამოუყენებიათ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეექმნათ დამაჯერებელი, მიმზიდველი და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრობა, რომელიც სრულყოფილად გადმოსცემს ოსეთის კოლორიტს და ხელს უწყობს პიესის გმირთა ხასიათების გახსნას.

„ზალინა" სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის უთუოდ საინტერესო სპექტაკლია.

ბ. თათარიშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ზალინა".

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

მეექვსე პარტია მიხეილ ბოტვინიკისა და ვასილ სმისლოვის საჭადრაკო მატჩისა მსოფლიო პირველობაზე 28-ე სკლაზე დამთავრდა სმისლოვის გამარჯვებით. ანგარიში გახდა 3 : 3. (საკადესი).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

პარასკევს, 22 მარტს

სოფოკლე

ოიდიპოს მეფე

ორი წარმოდგენა

სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა შეხვედრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივთან.

დღის 2 საათზე

მონაწილეობენ:

ერ. მანჯგალაძე, თ. თეთრაძე, გ. საღარაძე, ნ. ჩხეიძე, ირ. უჩანეიშვილი, ლ. ყაზაიშვილი და მთელი დასი.

საღამოს 8 საათზე

მონაწილეობენ:

ხ. ზაქარიაძე, თ. თარხნიშვილი, ვ. დოლიძე, ბ. ზაქარიაძე, ემ. აფხაიძე, ბ. კობახიძე და მთელი დასი.

ჩინეთის ბავშვთა მხატვრული ანსამბლის სასლში

(ბელინანოვის პროსპ. № 127-ა)

23 მარტს დღის 12 საათზე მოწვეულია

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ადვოკატთა საერთო კრება

ყველა ადვოკატის დასწრება სავალდებულოა.

ადვოკატთა რეგისტრაცია იწარმოებს 22 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე პრეზიდიუმის შენობაში — ათარბეგოვის ქ. № 32, ხოლო 23 მარტს დილის 10 საათიდან 12 საათამდე რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

ფილარმონიის დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(შელიჟნიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 4 აპრილს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად

ალექსი ივანეს-ძე სიხარულიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები ცენტრალური შეკავების მოვლენის შესწავლისათვის კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანების დროს".**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

იაკობ ისმაილის-ძე შონიას

გარდაცვალებას.

შვილები დავით, იპოლიტე, აკაკი, რძლები კატუშა, თამარ, თინა ოჯახებით იუწყებიან

დესმინე სპირიდონის ასულ კუტივაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-III სოფ. ჩუნეშში (წყალტუბოს რ.).

მეუღლე შალვა, შვილები ნოდარ, გივი, რძლები ნელი, ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან

მარიამ პეტრეს ასულ კაპანაძე-მაისურაძის

გარდაცვალებას.

დედა ქეთო, მამა ვლადიმერ, და რუსუდან იუწყებიან

მზია ვლადიმერის ასულ ფუტკარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-III, 7 ს. გამოსვენება 24-III, 3 ს. ხუდადოვის ქ. № 2.

მეუღლე საშა, შვილები გუგული, ვენერა, ლაძარა, რუსუდან, სიძე ა. კინწურაშვილი შვილით იუწყებიან

მიხეილ ლეონტის-ძე ყორეოლიანის

გარდაცვალებას. დ